პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აგვისტო 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, გაგრძელდეს ელიას მთის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


X=486213 Y=4618097
X=486158 Y=4618035
X=486201 Y=4618004
ეკლიას მთის ქ.
X=486031 Y=4617500
1:4,000

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

3

10 / ნოემბერი / 2023 წ.

06-032331448-03

KA011717370619323

№ **243878**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო
ვარდოსანიძეს

ასლი: სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 10 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა ელზა ცერცვაძის (პ/ნ:54001019160) განცხადება (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 171989/17), რომლითაც მოთხოვნილია მისამართების მოწესრიგება ელიას მთის ქუჩასა და I ჩიხში.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უსახელო გზის მონაკვეთების სახელდებასთან დაკავშირებით.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032523256**
თარიღი: **20/08/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2023 წლის 10 ნოემბრის საქმე #06-032331448-03 დაკავშირებით, რომლითაც ელზა ცერცვაძის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მისამართების მოწესრიგება ელიას მთის ქუჩასა და I ჩიხში.
კომისიის მიერ საკითხის შესწავლის დროს დადგინდა, რომ ელიას მთის ქუჩა მინიჭებული აქვს მახათას აღმართისკენ მიმავალ მთავარ გზას, თუმცა ქუჩის სახელდების პროცესში, სავარაუდოდ რუკის მომზადების მომენტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ქუჩის მონაკვეთი ნაცვლად იმისა, რომ უერთდებოდეს ძირითად, მახათას აღმართს, უხვევს აღმოსავლეთით, კერძო დასახლებაში. ამდენად მნიშვნელოვანია ცვლილების განხორციელება: ელიას მთის ქუჩის მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, ხოლო მახათას აღმართამდე არსებული უსახელო მონაკვეთისთვის ელიას მთის სახელის მინიჭება.
აღსანიშნავია, რომ ტერიტორიაზე არსებობს არაერთი შენობა-ნაგებობა, რომელთა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები არ იძებნება საჯარო რეესტრის ელექტრონულ პორტალებზე, თუმცა ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე საკადასტრო ერთეული, რომლებიც რეგისტრირებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (01.17.02.001.025 ; 01.17.02.001.023 ; 01.17.02.001.026 ; 01.17.02.001.044).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01252332026**
თარიღი: **21/08/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-032523353-03

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 20.08.2025 წლის #03-032523256 (20.08.2025წ. #14-01252322901-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი